წაკითხულის გააზრების აკადემიური უნარის სწავლების მდგომარეობა, საჭიროება და დანერგვის შესაძლებლობები ხაშურის მე-6 საჯარო სკოლის მე-6 კლასში (ქართული ენა, ბუნებისმეტყველება, ინგლისური ენა).

ნინო არუთინაშვილი, ანა ფანცულაია, ელისო წერეთელი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

ზოგადი განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია როგავა, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

"როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად."

ნინო არუთინაშვილი

ელისო წერეთელი

ანა ფანცულაია

30.06.2025

აბსტრაქტი

წაკითხულის გააზრების აკადემიური უნარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსწავლეთა საგნობრივი მიღწევებისა და კოგნიტური განვითარების პროცესში. მოცემული სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს წაკითხულის გააზრების უნარის მდგომარეობის, საჭიროებისა და განვითარების შესაძლებლობებს ხაშურის მე-6 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებში სამ საგნობრივ კატეგორიაში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურსა და ბუნებისმეტყველებაში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობით მოსწავლეებში წაკითხულის გააზრების აკადემიური უნარების გაუმჯობესება.

კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება კონსტრუქტივისტულ და კოგნიტურ პარადიგმებს: ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიას, ლევ ვიგოტსკის სოციო-კულტურულ მიდგომას, ჯონ სველერის კოგნიტური დატვირთვის თეორიასა და SOLO ტაქსონომიას. ჩვენი კვლევის მეთოდი გახლდათ პრაქტიკის კვლევა, რომელიც მოიცავდა პრობლემის დიაგნოსტირებას, ინტერვენციის დაგეგმვას, განხორციელებასა და შედეგების შეფასებას. დიაგნოსტიკურმა ეტაპმა აჩვენა, რომ მოსწავლეებს უჭირდათ დავალების პირობის გააზრება, ტექსტის სიღრმისეული ანალიზი, ძირითადი იდეების ამოცნობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის დანაწევრება და ლოგიკური მიმართებების დამყარება შეკითხვასა და ტექსტს შორის. ამ საჭიროებიდან გამომდინარე, დაიგეგმა სამი ინტერვენცია: წაკითხულის გაგება-გააზრების უნარზე ორიენტირებული ტესტური დავალებების შექმნა ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი ავტომატიზებული ტექსტური პლატფორმის, Chatgpt-ის გამოყენებით, მეთოდურ-პრაქტიკული გზამკვლევის შემუშავება და მენტორინგის პროგრამის დანერგვა უფროსკლასელების ჩართულობით.

ინტერვენციის პროცესში მნიშვნელოვანი იყო მასწავლებელთა მეთოდური მხარდაჭერა და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომების ინტეგრირება სასწავლო პრაქტიკაში.

შემუშავებულ დავალებებში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივი და კოგნიტური თავისებურებები, რა მიზნითაც გამოვიყენეთ პიაჟეს კოგნიტური განვითარებისა და სველერის კოგნიტური დატვირთვის თეორიები. მენტორინგის კომპონენტი კი ეყრდნობოდა ვიგოტსკის უახლოესი განვითარების ზონის თეორიულ საფუძვლებს.

ინტერვენციების ეფექტიანობის შეფასების ბოლო ეტაპი გახლდათ პოსტტესტი, რომლის ანალიზმაც აჩვენა, რომ მოსწავლეთა წაკითხულის გაგება-გააზრების აკადემიური უნარები საგრძნობლად გაუმჯობესდა SOLO ტაქსონომიის ხუთივე დონესთან მიმართებით. პროფესიული თვალსაზრისით მასწავლებლებმა შეიძინეს ახალი უნარები. ერთი მხრივ, შეძლეს ChatGPT-ის გამოყენებით მრავალფეროვანი, მიზანზე ორიენტირებული ტესტური დავალებების, შეფასების რუბრიკების, გაკვეთილის გეგმების, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ტექსტების მოდიფიკაცია, რამაც მათ მიერ შექმნილი დავალებები, რჩევები, რეკომენდაციები თუ ინსტრუქციები გახადა ეფექტიანი და მიზანზე - წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარებაზე ორიენტირებული. მეორე მხრივ, მასწავლებლები დაეუფლნენ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და მეთოდებს, რამაც არა მხოლოდ მოსწავლეთა წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარებას შეუწყო ხელი, არამედ - მასწავლებელთა მოტივაციასაც, მომავალშიც გააგრძელონ ჩვენ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება ის გახლავთ, რომ იგი ქმნის თეორიულად გამყარებულ და პრაქტიკაზე დაფუძნებულ მოდელს, რომელიც შესაძლებელია ადაპტირდეს ამავე კონტექსტში სხვა კლასსა და საგნობრივ კატეგორიაში ანალოგიური გამოწვევების საპასუხოდ. განხორციელებული ინტერვენციები გვიჩვენებს ინოვაციურ და პერსპექტიულ გზებს მოსწავლეთა აკადემიური კითხვის უნარების განსავითარებლად. ჩვენი კვლევა მასწავლებლებს აძლევს პროფესიული ზრდის შესაძლებლობას, აუმჯობესებს მოსწავლეთა უნარებს აკადემიური კითხვის მიმართულებით და უზრუნველყოფს შეძენილი ცოდნისა და უნარების მდგრადობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წაკითხულის გააზრება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ინტერვენცია.

Abstract

Academic reading comprehension is one of the essential components of students' subject-specific achievement and cognitive development. This master's thesis investigates the current state, necessity, and development opportunities of reading comprehension skills among sixth-grade students at Public School No. 6 in Khashuri, across three subject areas: Georgian language and literature, English, and natural sciences. The goal of the research was to enhance students' academic reading comprehension through the professional development of teachers.

The theoretical framework of the study is based on constructivist and cognitive paradigms, drawing on the cognitive development theory of Jean Piaget, the socio-cultural approach of Lev Vygotsky, John Sweller's cognitive load theory, and the SOLO taxonomy. The research method was practice-based inquiry, which involved diagnosing the problem, planning the intervention, implementing it, and evaluating the outcomes. The diagnostic phase revealed significant difficulties among students in understanding task instructions, conducting deep textual analysis, identifying key ideas, recognizing cause-and-effect relationships, distinguishing between primary and secondary information, and making logical connections between the questions and the text. In response to these needs, three key interventions were planned: the development of ChatGPT-supported test items focused on reading comprehension, the creation of a practical-methodological guidebook, and the implementation of a mentoring program involving high school students.

Throughout the intervention, methodological support for teachers and the integration of research-based approaches into teaching practices proved crucial. The tasks developed during the project considered students' age-specific and cognitive characteristics, drawing on Piaget's and Sweller's theories. The mentoring component was built on Vygotsky's theory of the Zone of Proximal Development.

The final stage of evaluating intervention effectiveness was a post-test analysis, which demonstrated significant improvement in students' academic reading comprehension, as reflected across all five levels of the SOLO taxonomy. From a professional perspective, teachers acquired new skills, including the development of diverse and goal-oriented test items using ChatGPT, construction of assessment rubrics, lesson planning, creation of formative assessment tools, and the ability to modify texts. As a result, the assignments, feedback, and instructions produced by the teachers became more effective and focused on developing reading comprehension skills. Furthermore, teachers adopted a variety of teaching strategies and methods that not only enhanced student achievement in reading but also increased teacher motivation to continue implementing these interventions in the future.

The practical value of this study lies in its creation of a theoretically grounded and practice-based model that can be adapted to address similar challenges in other classes and subject areas within the same educational context. The interventions implemented in this research offer innovative and promising pathways for improving students' academic reading skills. The study provides opportunities for teacher professional growth, fosters the development of students' academic abilities, and supports the sustainability of effective instructional practices.

Key Words: Reading comprehension, Teacher Professional Development, Intervention.